

**დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა**

**(ქვეპროგრამის კოდი 06 02 09)**

დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა (შემდგომში-პროგრამა) განსაზღვრავს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დედ-მამით ობოლი ბავშვების სოციალური დახმარების გაცემის პირობებსა და პროცედურებს, მუნიციპალიტეტის მერიამი წარსადგენი დოკუმენტაციის ნუსხას და დახმარების სახით გასაცემი თანხის ოდენობებს.

**მუხლი 1. პროგრამის მიზანი**

დედ-მამით ობოლი 18 წლამდე ასაკის ბავშვების მატერიალური მხარდაჭერა.

**მუხლი 2. დაფინანსების წყარო**

გარდაბნის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი.

**მუხლი 3. პროგრამის ხანგრძლივობა**

პროგრამა ძალაშია 2024 წლის პირველი იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

**მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლები**

- ა) გარდაბნის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მცხოვრები 18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები;
- ბ) „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარი -18 წლამდე ასაკის დედ-მამით ობოლი ბავშვები.

**მუხლი 5. პროგრამით მოსარგებლების დაფინანსების ორგანიზება:**

1. დახმარების მისაღებად ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენელი წერილობითი განცხადებით მიმართავს და სრულყოფილ დოკუმენტაციას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს ან შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენელს. მიღებული დოკუმენტაცია შესასწავლად იგზავნება მერიის ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურში. „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შემთხვევაში ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილება წერილობით მიმართავს სამსახურს.
2. პროგრამა ითვალისწინებს დედ-მამით ობოლი ბავშვების ფინანსურ მხარდაჭერას, კერძოდ, დედ-მამით ობოლ თითოეულ ბავშვზე, რომელსაც არ

შესრულებია 18 წელი, დახმარება გაიცემა 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით წელიწადში ორჯერ (1 ივნისს და ახალ წელს).

## **მუხლი 6. მუნიციპალიტეტში წარსადგენი დოკუმენტები**

წარსადგენი დოკუმენტები:

- ა) განცხადება;
- ბ) მეურვის/მზრუნველის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის პირადობის მოწმობის ასლი;
- გ) მეურვეობის/მზრუნველობის ან კანონიერი წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
- დ) იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის (ბავშვის) მოწმობის ასლი (იძულებით გადაადგილებული პირის/დევენილის მომართვის შემთხვევაში);
- ე) მშობლების გარდაცვალების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ვ) ბავშვის (ბავშვების) დაბადების მოწმობის ასლი (ასლები);
- ზ) ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების წერილი „ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამის“ ბენეფიციარების შესახებ;
- თ) საბანკო რეკვიზიტი.

## **მუხლი 7. ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფლებამოსილება**

ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური შემოსულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ამზადებს ბრძანების პროექტს მუნიციპალიტეტის მერთან წარსადგენად, ხოლო განცხადებაში აღმოჩენილი ხარვეზის შემთხვევაში, მიმართავს განმცხადებელს ან/და მერის წარმომადგენელს ადმინისტრაციულ ერთეულში ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

## **მუხლი 8. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება და დაფინანსება:**

1. გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილება უზრუნველყოფს ჯანმრთელობის, სოციალური, ბავშვის უფლებებისა და დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის მიერ წარმოდგენილი გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) პროექტის სამართლებრივ ექსპერტიზას და ვიზირებას.

2. დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს გარდაბნის მუნიციპალიტეტის მერი და გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციულ სამართლებრივ აქტს (ბრძანებას).

3. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახური თანხას გასცემს უნაღდო ანგარიშსწორებით ბრძანებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

#### **მუხლი 9. პროგრამის შედეგის ინდიკატორი**

პროგრამაში ჩართული დედ-მამით ობოლი ბავშვების რაოდენობა.

#### **მუხლი 10. პროგრამის შედეგი**

დედ-მამით ობოლი ბავშვების მატერიალური უზრუნველყოფა.